ფრიდრიხ ა. ფონ ჰაიეკი

საბედისწერო თავდაჯერებულობა

სოციალიზმის შეცდომები

ვეფხისტყაოსანი
2000
თბილისი

ტები ხელმძღვანელობენ და რომელიც ჩემს მიერ ადრე „კონსტრუქტივისტული რაციონალიზმის“ ცნებით (1973) განსაზღვრულ გულუბრყვილო და უკრიტიკო რაციონალისტურ თეორიას და მოძველებულსა და არამეცნიერულ მეთოდოლოგიას განასახიერებს.

ერთი სიტყვით, მე არ უარვყოფ გონის მიერ ზნეობრივი ნორმებისა და ინსტიტუტების გაუმჯობესების შასაძლებლობას და არც იმას ვამტკიცებ დაუინებით, თითქოს მას არ ჰქონდეს უნარი ზნეობის მთელი სისტემა ისეთი მიმართულებით შემოაბრუნოს, რომელიც დღესდღეობით „სოციალური სამართლიანობის“ სახელითაა ცნობილი. ასეთი შემობრუნების შემხთვევაში ზნეობრივი ნორმების თითოეული რგოლის გადაფასება გახდება აუცილებელი. ხოლო თუ ამგვარად გარდაქმნილი სისტემა პრეტენზიას განაცხადებს იმის გაკეთების შესაძლებლობაზე, რაც სინამდვილეში მისთვის მიუწვდომელია. (მაგ: მას არ შეუძლია ახალი ცოდნის გენერაცია და ადამიანის ქცევის მოწესრიგება მისივე წესებიდან და ნორმებიდან გამომდინარე), სწორედ ეს უუნარობა იქნება გადამწყვეტი რაციონალური არგუმენტი ასეთი ზნეობრივი სისტემის წინააღმდეგ. ამ დასკვნების გაცნობიერება ძალზე ძნიშვნელოვანია, რადგან შეხედულებამ, თითქოს ზემოაღნიშნული დავა ღირებულებებს ეხებოდეს და არა ფაქტებს, ხელი შეუშალა საბაზრო სისტემის მკვლევარებს საკმარისად დამაჯერებლად ეჩვენებინათ, რომ სოციალიზმს უბრალოდ არ შესწევს ძალა თავისი დაპირებები შეასრულოს.

ჩემი მსჯელობის საფუძველზე არც იმის თქმა შეიძლება, თითქოს მე სოციალისტების მიერ ფართოდ აღიარებულ ზოგიერთ ღირებულებას არ ვცნობ. თუმცა, მე არ მგონია, რომ საყოველთაოდ მიღებული „სოციალური სამართლიანობის“ ცნება შესაძლებელია საქმის გარკვეული ვითარებას ასახავდეს და საერთოდ რაიმე აზრი ჰქონდეს. იმედი მაქვს მოგვიანებით ამის დასაბუთებას შევძლებ. ამასთან, ჰედონისტური ეთიკის რიგ მესვეურთაგან განსხვავებით, მე არ ვთვლი, რომ მორალური ხასიათის ზოგიერთი გადაწყვეტილების მიღება, მხოლოდ მოსალოდნელი სიამოვნების მოაზრების და წარმოდგენის საფუძველზეა შესაძლებელი.

წინამდებარე გამოკვლევის ამოსავალ წერტილად სამართლიანად შეიძლება ჩაითვალოს დევით იუმის მახვილგონივრული შენიშვნა იმის შესახებ, რომ „ზნეობრივი ნორმები, ჩვენი გონის მიერ გამოტანილ დასკვნებს არ წარმოადგენს (*Trieatise*, 1739/1886:II:235). იუმის ეს შენიშვნა ამ წიგნის ცენტრალური დებულება იქნება. ძირითადი საკითხი, რომელზე პასუხის გაცემასაც მე ვცდილობ, ესაა, *თუ როგორ წარმოიშვა ზნეობა და რა გავლენას ახდენს მისი არსებობის ფორმა ჩვენს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე.*

მტკიცება, რომ ჩვენ ვინარჩუნებთ კაპიტალიზმს, როგორც გაბნეული ცოდნის გამოყენების საუკეთესო საშუალებას. აუცილებლად ბადებს კითხვას ამ უპრეცედენტო ეკონომიკური წესრიგის ჩამოყალიბების შესახებ და ეს საკითხი განსაკუთრებით საინტერესო ჩანს ჩემი იმ განცხადების ფონზე, რომ კაპიტალიზმისათვის აუცილებელ ზნეობრივ ნორმებს და ინსტიტუტებს მძლავრი ინსტიქტური და რაციონალისტური ძალები უჯანყდებიან.

პირველ სამ თავში შევეცადე ეკონომისტებისთვის კარგად ცნობილი და შეთვისებული ჭეშმარიტებიდან გამომდინარე ზოგადი პასუხი გაეცა ამ კითხვაზე; ამ ჭეშმარიტების არსი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი ღირებულებები და ინსტიტუტები მხოლოდ წარსული ვითარებით არ განისაზღვრება და სტრუქტურის ან მოდელის არაცნობიერი თვითორგანიზაციის პროცესის შემადგენელ ნაწილად ყალიბდება. ეს პრინციპი ძალაშია არა მარტო ეკონომიკური მეცნიერებისათვის, მას ემყარება თანამედროვე ბიოლოგიაც. ის ერთ-ერთი პირველთაგანია იმ თეორიებს შორის, რომელსაც მაღალორგანიზებული სტრუქტურების ფორმირება ისეთი პროცესის სახით ჰქონდათ წარმოდგენილი, რომელშიც მისი კონკრეტული გამოვლინების განმსაზღვრელი უთვალავი ფაქტორი იყო ჩართული და ამიტომ ამ პროცესის აღწერა ფაქტიურად გადაუწყვეტელ ამოცანად რჩებოდა. როდესაც ამ სფეროში ვიწყებდი მუშაობას, მაღალორგანიზებული, რთული, თვითორგანიზებადი სტრუქტურის ევოლუციური განვითარების თეორიის ერთადერთ მკვლევარად ვთვლიდი თავს, მაგრამ სულ მალე ამგვარი პრობლემების კვლევები ძალზე ძრავალრიცხოვანი გახდა: თვითნა-

კონფლიქტი, საბაზო კონკურენციის საფუძველზე სპონტანურად შექმნილი გაფართოებული წესრიგის მომხრეებისა, ერთი მხრივ და მეორე მხრივ მათ შორის, ვინც არსებული რესურსების კოლექტიურ მართვაზე დამყარებულ, ცენტრალური ხელისუფლების მიერ ადამიანთა გაცნობიერებულ ორგანიზაციას ემხრობა, გამომდინარეობს უკანასკნელთა ფაქტობრივი შეცდომიდან იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ჩნდება და გამოიყენება ცოდნა არსებული რესურების შესახებ. რამდენადაც აღნიშნული კონფლიქტი ფაქტობრივი ხასიათისაა, იგი მეცნიერული ანალიზის გზით უნდა გადაწყდეს. მეცნიერული ანალიზი კი ცხადყოფს, რომ კონკურენტული საბაზრო წესრიგის საფუძვლად მდებარე სპონტანურად ჩამოყალიბებული ზნეობრივი ტრადიციების შესაბამისად მოქმედებისას (ეს ტრადიციები კი, ვერ აკმაყოფილებენ სოციალისტების დიდი ნაწილის მიერ აღიარებულ კანონებსა და ნორმებს) ჩვენ ვაწარმოებთ და ვაგროვებთ უფრო მეტ ცოდნას და სიმდიდრეს, ვიდრე შეიძლება მოპოვებული და გამოყენებული ყოფილიყო ცენტრალიზებულად მართულ ეკონომიკაში, რომლის მომხრეებსაც ზედმიწევნით გონის მიმდევრების პრეტენზია აქვთ. ასე რომ, სოციალიზმის მიზნები და პროგრამები ფაქტიურად მიუღწეველი და განუხორციელებელია. ამასთან ირკვევა, რომ ისინი ლოგიკურად შეუძლებელიცაა.

გავრცელებული აზრის თანახმად, საბაზრო წესრიგის მომხრეთაგან, სოციალისტები ინტერესებით და ღირებულებითი განწყობებით განსხვავდებიან, მაგრამ, როგორც ჩანს, ის, თუ როგორ ახერხებენ ადამიანები გარკვეული ზნეობრივი ნორმების და ღირებულებების დაუფლებას, და რა შედეგი შეიძლება გამოიღოს ამან ცივილიზაციის განვითარების პროცესში, უწინარეს ყოვლისა, ფაქტობრივი საკითხია და სწორედ ის შეადგენს წინამდებარე წიგნის ბირთვს. პირველ სამ თავში ნაცადია მასზე ზოგადი პასუხის გაცემა. სოციალიზმის მოთხოვნები არ გამომდინარეობს ცივილიზაციის არსებობის განმსაზღვრელი და გაფართოებული წესრიგის შემქმნელი ტრადიციებიდან მათი მორალური შედეგის სახით. შეიძლება ითქვას, ისინი სწორედ ამ ტრადიციების რაციონალურად კონსტრუირებული ზნეობრივი სისტემებით შეცვლის მცდელობას წარ-

მოადგენს, მათი მიმზიდველობა კი იმაში მდგომარეობს, რომ დაპირებული შედეგები ადამიანის ინსტიქტურ ლტოლვებს ეხმაურება. სოციალისტური შეხედულებების თანახმად, რადგან ადამიანებმა ქცევის მაკოორდინირებელი გარკვეული სისტემის შექმნა მოახერხეს, მათ უკეთესი და უფრო დამაკმაყოფილებელი სისტემის გამოგონებაც უნდა შეძლონ; ხოლო, თუ კაცობრიობის არსებობა, წესებით რეგულირებულ და მისი ქმედითუნარიანობის დამადასტურებელ ქცევის გარკვეულ კონკრეტულ ფორმაზეა დამოკიდებული, მაშინ კაცობრიობას არ შეუძლია მისი შეცვლა ან სხვა ქცევისთვის უპირატესობის მინიჭება, ამ უკანასკნელის შედეგების მხოლოდ მოჩვენებითი მიმზიდველობის გამო. დავა საბაზრო წესრიგსა და სოციალიზმს შორის, არც მეტი, არც ნაკლები გადარჩენაზე დავაა, რადგან სოციალისტური მორალით ხელმძღვანელობა, თანამედროვე კაცობრიობის დიდი ნაწილის მოსპობას და დანარჩენის, ძირითადი მასის გაღატაკებას გამოიწვევს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, აუცილებლად მიმაჩნია, მეტი სიცხადე შემოვიტანო ერთ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით. სოციალისტების მიერ აღიარებული გონის *ქედმაღლობის* წინააღმდეგ გაშოსვლისას, ძე არავითარ შემთხვევაში არ ვეწინააღმდეგები გონს, რომელიც სათანადოდაა გამოყენებული. „სათანადოდ გამოყენებულ გონში“ მე ისეთ გონს ვგულისხმობ, რომელიც საკუთარ შეზღუდულობას ითვალისწინებს და საჭირო გაკვეთილები გამოიტანა ეკონომისტების და ბიოლოგების მიერ დადგენილი იმ გასაოცარი ფაქტებიდან, რომ ვისიმე ჩანაფიქრის გარეშე, თავისთავად აღმოცენებული წესრიგი, შესაძლოა, გაცილებით უკეთესი იყოს, ვიდრე ადამიანის მიერ შეგნებულად შედგენილი გეგმები. ამასთან, ხომ არ შეიძლება მე თავს ვესხმოდე გონს წიგნში, რომელშიც სოციალიზმის ფაქტიური და ლოგიკური უსაფუძვლობა მტკიცდება. თუმცა, ისიც უდაოა, რომ გონი, ფრთხილად, თანდათანობით შეიძლება წარიმართოს ტრადიციული ინსტიტუტების და ზნეობრივი პრინციპების შესწავლაზე, კრიტიკასა და მისი უარყოფის დასაბუთებაზე. ჩემი ადრეული შრომების მსგავსად, ეს წიგნიც გონის ჩვეული გაგების წინააღმდეგ არის მიმართული, გაგებისა, რომლითაც სოციალის-

ტები ხელმძღვანელობენ და რომელიც ჩემს მიერ ადრე „კონსტრუქტივისტული რაციონალიზმის“ ცნებით (1973) განსაზღვრულ გულუბრყვილო და უკრიტიკო რაციონალისტურ თეორიას და მოძველებულსა და არამეცნიერულ მეთოდოლოგიას განასახიერებს.

ერთი სიტყვით, მე არ უარვყოფ გონის მიერ ზნეობრივი ნორმებისა და ინსტიტუტების გაუმჯობესების შასაძლებლობას და არც იმას ვამტკიცებ დაუინებით, თითქოს მას არ ჰქონდეს უნარი ზნეობის მთელი სისტემა ისეთი მიმართულებით შემოაბრუნოს, რომელიც დღესდღეობით „სოციალური სამართლიანობის“ სახელითაა ცნობილი. ასეთი შემობრუნების შემხთვევაში ზნეობრივი ნორმების თითოეული რგოლის გადაფასება გახდება აუცილებელი. ხოლო თუ ამგვარად გარდაქმნილი სისტემა პრეტენზიას განაცხადებს იმის გაკეთების შესაძლებლობაზე, რაც სინამდვილეში მისთვის მიუწვდომელია. (მაგ: მას არ შეუძლია ახალი ცოდნის გენერაცია და ადამიანის ქცევის მოწესრიგება მისივე წესებიდან და ნორმებიდან გამომდინარე), სწორედ ეს უუნარობა იქნება გადამწყვეტი რაციონალური არგუმენტი ასეთი ზნეობრივი სისტემის წინააღმდეგ. ამ დასკვნების გაცნობიერება ძალზე ძნიშვნელოვანია, რადგან შეხედულებამ, თითქოს ზემოაღნიშნული დავა ღირებულებებს ეხებოდეს და არა ფაქტებს, ხელი შეუშალა საბაზრო სისტემის მკვლევარებს საკმარისად დამაჯერებლად ეჩვენებინათ, რომ სოციალიზმს უბრალოდ არ შესწევს ძალა თავისი დაპირებები შეასრულოს.

ჩემი მსჯელობის საფუძველზე არც იმის თქმა შეიძლება, თითქოს მე სოციალისტების მიერ ფართოდ აღიარებულ ზოგიერთ ღირებულებას არ ვცნობ. თუმცა, მე არ მგონია, რომ საყოველთაოდ მიღებული „სოციალური სამართლიანობის“ ცნება შესაძლებელია საქმის გარკვეული ვითარებას ასახავდეს და საერთოდ რაიმე აზრი ჰქონდეს. იმედი მაქვს მოგვიანებით ამის დასაბუთებას შევძლებ. ამასთან, ჰედონისტური ეთიკის რიგ მესვეურთაგან განსხვავებით, მე არ ვთვლი, რომ მორალური ხასიათის ზოგიერთი გადაწყვეტილების მიღება, მხოლოდ მოსალოდნელი სიამოვნების მოაზრების და წარმოდგენის საფუძველზეა შესაძლებელი.

წინამდებარე გამოკვლევის ამოსავალ წერტილად სამართლიანად შეიძლება ჩაითვალოს დევით იუმის მახვილგონივრული შენიშვნა იმის შესახებ, რომ „ზნეობრივი ნორმები, ჩვენი გონის მიერ გამოტანილ დასკვნებს არ წარმოადგენს (*Trieatise*, 1739/1886:II:235). იუმის ეს შენიშვნა ამ წიგნის ცენტრალური დებულება იქნება. ძირითადი საკითხი, რომელზე პასუხის გაცემასაც მე ვცდილობ, ესაა, *თუ როგორ წარმოიშვა ზნეობა და რა გავლენას ახდენს მისი არსებობის ფორმა ჩვენს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე.*

მტკიცება, რომ ჩვენ ვინარჩუნებთ კაპიტალიზმს, როგორც გაბნეული ცოდნის გამოყენების საუკეთესო საშუალებას. აუცილებლად ბადებს კითხვას ამ უპრეცედენტო ეკონომიკური წესრიგის ჩამოყალიბების შესახებ და ეს საკითხი განსაკუთრებით საინტერესო ჩანს ჩემი იმ განცხადების ფონზე, რომ კაპიტალიზმისათვის აუცილებელ ზნეობრივ ნორმებს და ინსტიტუტებს მძლავრი ინსტიქტური და რაციონალისტური ძალები უჯანყდებიან.

პირველ სამ თავში შევეცადე ეკონომისტებისთვის კარგად ცნობილი და შეთვისებული ჭეშმარიტებიდან გამომდინარე ზოგადი პასუხი გაეცა ამ კითხვაზე; ამ ჭეშმარიტების არსი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი ღირებულებები და ინსტიტუტები მხოლოდ წარსული ვითარებით არ განისაზღვრება და სტრუქტურის ან მოდელის არაცნობიერი თვითორგანიზაციის პროცესის შემადგენელ ნაწილად ყალიბდება. ეს პრინციპი ძალაშია არა მარტო ეკონომიკური მეცნიერებისათვის, მას ემყარება თანამედროვე ბიოლოგიაც. ის ერთ-ერთი პირველთაგანია იმ თეორიებს შორის, რომელსაც მაღალორგანიზებული სტრუქტურების ფორმირება ისეთი პროცესის სახით ჰქონდათ წარმოდგენილი, რომელშიც მისი კონკრეტული გამოვლინების განმსაზღვრელი უთვალავი ფაქტორი იყო ჩართული და ამიტომ ამ პროცესის აღწერა ფაქტიურად გადაუწყვეტელ ამოცანად რჩებოდა. როდესაც ამ სფეროში ვიწყებდი მუშაობას, მაღალორგანიზებული, რთული, თვითორგანიზებადი სტრუქტურის ევოლუციური განვითარების თეორიის ერთადერთ მკვლევარად ვთვლიდი თავს, მაგრამ სულ მალე ამგვარი პრობლემების კვლევები ძალზე ძრავალრიცხოვანი გახდა: თვითნა-

ბადი (autopoiesis) მოდელები, კიბერნეტიკა, ჰომეოსტაზი, სპონტანური წესრიგი, თვითორგანიზაცია, სინერგეტიკა, სისტემათა თეორია და ა. შ. ასეთ კვლევათა ნუსხა იმდენად ვრცელია, რომ დაწვრილებით მხოლოდ რამდენიმე მათგანის შესწავლა მოვარხერხე, ამრიგად, ეს წიგნი მხოლოდ პატარა ნაკადი იქნება ევოლუციური (მაგრამ ცხადია არა ნეოდარვინისტული) ეთიკის სულ უფრო მზარდ დინებაში. ევოლუციური ეპისტემოლოგია მართლაც მნიშვნელოვნად წავიდა წინ და ევოლუციური ეთიკაც, თუმცა მკვეთრად განსხვავდება მისგან, გვერდში მიჰყვება და წინანდებურად ავსებს მას.

როგორც ვხედავთ, ამ წიგნში ზოგიერთი რთული მეცნიერული და ფილოსოფიური საკითხია დასმული; ამასთან, ძირითადი ამოცანა იმის ჩვენებაა, რომ ჩვენი დროის ეს ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მოძრაობა, ანუ სოციალიზმი აშკარად მცდარ წანამძღვრებს ემყარება. თუნდაც კეთილი განზრახვებით იყოს შთაგონებული და მის სათავეში ჩვენი დროის ზოგიერთი გამორჩენილი მოაზროვნე იდგეს, — ის მაინც საფრთხეს უქმნის ცხოვრების დონეს და თანამედროვე საზოგადოების ძნიშვნელოვანი ნაწილის სიცოცხლესაც კი. ამის დადასტურება წიგნის ძე-4-ბ თავშია ძოცემული. აქ განხილული და უარყოფილია სოციალიზმის გამოწვევა, რომელიც ჩვენი ცივილიზაციის განვითარებისა და შენარჩუნების იმ გაგების წინააღმდეგ არის მიმართული, რომლის შესახებაც პირველ სამ თავში იყო ძოთხრობილი. ძეშვიდე თავში ენის პრობლემაა გაიხილული, ჩემი მიზანია, ვაჩვენო თუ როგორ მახინჯდება იგი სოციალისტური ფრაზეოლოგიის გავლენით და რაოდენი წინდახედულობა გვმართებს, რომ არ ძოვიხიბლოთ და უნებურად სოციალისტურად აზროვნება არ დავიწყოთ. მერვე თავში გარჩეულია საწინააღმდეგო არგუმენტი იმისა, თითქოს დემოგრაფიული აფეთქების ფაქტი ეჭვქვეშ აყენებდეს ჩემს არგუმენტაციას, ეს მოსაზრება შეიძლება წამოაყენონ არა მარტო სოციალისტებმა, სხვა მიმდინარეობათა წარმომადგენელებმაც. დაბოლოს, მეცხრე თავში მოცემულია რამდენიმე მოკლე შენიშვნა ჩვენი ზნეობრივი ტრადიციების განვითარებაში რელიგიის როლის შესახებ.

რამდენადაც ევოლუციური თეორია ამ წიგნში არსებით როლს

თამაშობს, თავს ვალდებულად ვთვლი აღვნიშნო, რომ უკანასკნელ წლებში ევოლუციური ეპისტემოლოგიის დამუშავება ერთ-ერთი იმედისმომცემი ფაქტია (Camplell, 1977, 1934, Radnizby & Barttey 1987), ის საშუალებას იძლევა უკეთ გავიაზროთ ადამიანის ცოდნის ზრდა და ფუნქციები (Popper, 1934, 1859), აგრეთვე სხვადასხვა ტიპის რთული სპონტანური წესრიგი (Hayek 1964, 1973, 1876, 1973). ევოლუციური ეპისტემოლოგია შემეცნების თეორიის ისეთ ნაირსახეობას წარმოადგენს, რომელშიც გონი და მისი მოქმედების პროდუქტები ევოლუციური პროცესის შედეგის სახით განიხილება. ჩემს წიგნში საუბარია ამასთან დაკავშირებულ მთელ რიგ პრობლემებზე, რომელიც მიუხედავად მათი უდიდესი მნიშვნელობისა უმეტესწილად გამოკვლეული არ არის.

მოკლედ, ევოლუციური ეპისტემოლოგიის გარდა, ჩვენ ზნეობრივ ტრადიციათა განვითარების ეკოლოგიური თეორიაც გვჭირდება. ამასთან ისეთი, რომელიც თავისი ხასიათით განსხვავებული იქნება აქამდე არსებულისგან. ენის, სამართლის, ბაზრისა და ფულის შემდეგ, ცხადია, ადამიანური ურთიერთქმედების ტრადიციული წესები იყო ის სფერო, რომლის მიმართაც ეკოლოგიური ძიდგომა იქნა გამოყენებული. ეთიკამ უნდა ცნოს თავისი წარმოშობა და მაშინ ადამიანური სიამაყის უკანასკნელი ბასტიონიც დაეცემა. ზნეობის ასეთი ევოლუციური თეორია უკვე ყალიბდება და საფუძვლად ის პოსტულატი უდევს, რომ ჩვენი ზნეობრივი ნორმები არც ინსტინქტებისაგან წარმოქმნილა და არც ადამიანის გონის შემოქმედების ნაყოფია, ისინი „ინსტიქტსა და გონს შორის“ არსებულ ფენომენებს წარმოადგენს და სწორედ ასეთია პირველი თავის საკითხი. ამ ფენომენების როლი საოცრად დიდია გონის ფარგლებს მიღმა გამავალი პრობლემური სიტუაციებისა და პირობებისადმი მორგებაში. ისევე როგორც კულტურის სხვა ასპექტები, ჩვენი ზნეობრივი ტრადიციების განვითარებაც, ჩვენი გონის განვითარებასთან ერთად ხდებოდა და რა გასაოცარი და პარადოქსულიც არ უნდა ჩანდეს ჩემი მტკიცება — ზნეობის ტრადიციები მაინც უფრო სრულყოფილია ვიდრე გონის უნარები.